



მენიშვნები და რეკომენდაციები

მპს ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსაზე, 15 მგვტ სიმძლავრის „სურები 2 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის თაობაზე

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

22 ივლისი, 2025

2025 წლის 1 ივლისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა გამოაქვეყნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსაზე დაგეგმილი 15 მგვტ სიმძლავრის „სურები 2 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში. დოკუმენტის საჯარო განხილვა 17 ივლისს, სოფელ ზემო სურებში შედგა. წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, რომლის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს პროექტის გარემოსდაცვითი რისკები, ალტერნატივები და შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან. თუმცა, ანგარიშის ანალიზმა გამოავლინა არაერთი კრიტიკული ხარვეზი, რაც საფრთხეს უქმნის როგორც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სიზუსტეს, ისე ადგილობრივი მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების ინტერესების დაცვას.

სკოპინგის ანგარიშის მიღებისას, პროექტის შეფასებისას, აუცილებელია შემდეგი გარემოებების გათვალისწინება:

1. ფრაგმენტირებული პროექტი

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ „სურები 2 ჰესის“ (15 მგვტ) მშენებლობას, რომლის წლიური გამომუშავება უნდა შეადგენდეს 90.6 მილიონ კვტ.სთ-ს. სათავე კვანძი მდებარეობს ზღვის დონიდან 902 მეტრზე, ხოლო წყლის მიწოდება ჰესის შენობამდე სოფელ ტობახჩის მიმდებარეა დაგეგმილი. უშუალო ზემოქმედების არეალი მდინარე სუფსის დაახლოებით 8-9 კმ-იან მონაკვეთს მოიცავს.

მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ პროექტი არ მოიცავს დაახლოებით 8 კმ სიგრძის 35 კვ დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზისა და 110/35 კვ ქვესადგურის მშენებლობას და მათ ზემოქმედებებს. კომპანიის პოზიციაა, რომ აღნიშნული ინფრასტრუქტურის სკოპინგის და გარემოზე ზემოქმედების ანგარიშები ცალკე მომზადდება, რისი დასაბუთებაც არ შეესაბამება გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის მოთხოვნებს. კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, ტექნიკურად და ფუნქციურად დაკავშირებული საქმიანობები საერთო სკოპინგის

ანგარიშით უნდა შეფასდეს. ამდენად, 35 კვ გადამცემი ხაზი და ქვესადგური წარმოადგენს ჰესის განუყოფელ კომპონენტებს და მათი ცალკე განხილვა პროექტის ხელოვნურ ფრაგმენტაციას წარმოადგენს.

საჯარო განხილვაზე აღნიშნული საკითხის წამოწევის პასუხად, სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ გადამცემი ხაზი წარმოადგენს ცალკე განსაზღვრულ საქმიანობას და გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის მიხედვით, კომპანიას აქვს უფლება აღნიშნული ინფრასტრუქტურის შეფასება ცალკე განახორციელოს. ჩვენი აზრით, სააგენტოს ეს განმარტება არ შეესაბამება გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის სწორ ინტერპრეტაციას. მართალია, კოდექსის დანართი 2 მართლაც განსაზღვრავს ცალკე საქმიანობებად „35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას“ და „110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსებას“, თუმცა ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 პუნქტი ასევე განმარტავს: „თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის ან/და ამ კოდექსის I დანართით ან/და II დანართით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია სააგენტოს წარუდგინოს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამავე კოდექსის შესაბამისად.“

სურები 2 ჰესი სისტემასთან დამაკავშირებელი ხაზის გარეშე ვერ იქნება ფუნქციონირებადი ობიექტი, შესაბამისად, 35 კვ გადამცემი ხაზი და ქვესადგური წარმოადგენს ჰესის განუყოფელ კომპონენტებს და მათი განხილვა უნდა მოხდეს ჰესის პროექტის ფარგლებში. ჩვენი შეფასებით, კომპანიის მიერ პროექტის ასეთი ფრაგმენტაცია, დაქუცმაცება და არასრულყოფილი აღწერა მიზანმიმართულად ხდება, სავარაუდოდ, გადამცემ ხაზზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების თავიდან აცილების მიზნით.

2. არასრულყოფილად წარმოდგენილი ალტერნატივები, მათ შორის, უმოქმედობის ალტერნატივა და პროექტის საჭიროება

გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსი მოითხოვს ყველა გონივრული ალტერნატივის (მათ შორის უმოქმედობის, ე.წ. ნულოვანი ალტერნატივის) განხილვას სათანადო დასაბუთებით. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი, შერჩეული ალტერნატივა (ორი ჰესისგან შემდგარი კასკადი), უმოქმედობის ალტერნატივა კი სრულად გამოტოვებულია. ასევე არ არის წარმოდგენილი შერჩეული ალტერნატივის დეტალური დასაბუთება, ენერგეტიკული საჭიროება და ხელშეკრულების ძირითადი პირობები (ენერგიის შესასყიდი ფასი, სახელმწიფოს ვალდებულებები და სხვა ირიბი სუბსიდიები). არ ხდება ანალიზი, თუ რამდენად შეძლებს ჰესი ენერგეტიკულად დეფიციტურ თვეებში სისტემისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანას.

უფრო მეტიც, კოდექსი მოითხოვს „გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში“ (მე-10 მუხლის 3 პარაგრაფი).

არ არის გაანალიზებული პროექტის ენერგეტიკული საჭიროებაც, გარდა ზოგადი ჩანაწერისა, რომ ჰესი წლის განმავლობაში სისტემას მიაწვდის 90.6 მილიონ კვტ.სთ-ს. მაგალითად, ამ 90

მილიონიდან რა რაოდენობის ენერგიის გამომუშავებას შეძლებს ჰესი ენერგეტიკულად დეფიციტურ თვეებში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი).

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ადეკვატურობის შეფასების ანგარიშის თანახმად¹, „ამ ეტაპზე მარეგულირებელ ჰესებში (ენგურჰესი, ხრამჰესი, შაორი, ტყიბული, ჟინვალი) გვაქვს დაბალი დონეები, რაც საშუალებას გვაძლევს მოდინების ჰესებს მივცეთ ელ. ენერგიის გამომუშავების საშუალება, თუმცა მეორეს მხრივ აღარ გვაქვს მანევრირების საშუალება, შესაბამისად სისტემის მოქნილობა იზღუდება და საფრთხე ექმნება მთლიანი ქსელის უსაფრთხოებას.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, შეფასდეს გზმ ანგარიშში, რა ზემოქმედებას იქონიებს დამატებით 15 მეგავატიანი ჰესი ენერგოსისტემაზე იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში ექსპლუატაციაში შესული 53 მეგავატი სიმძლავრის გენერაციის ობიექტები უკვე ქმნის მანევრირების პრობლემას სისტემაში.

3. კუმულაციური ზემოქმედება

სკოპინგის ანგარიშში (4.4 თავი) მითითებულია, რომ საპროექტო დერეფანში არ არის სხვა მსგავსი პროექტები დაგეგმილი და შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ეს მიდგომა მიუღებელია, რადგან თავად კომპანიას აქვს დაგეგმილი დამატებით 8 კმ სიგრძის 35 კვ გადამცემი ხაზისა და 110/35 კვ ქვესადგურის მშენებლობა, ხოლო მდინარე სუფსასა და მის შენაკადებზე ეკონომიკის სამინისტროს არაერთი ჰესის პროექტი აქვს დაგეგმილი.

აუცილებელია, კომპანიამ მოიძიოს და გააანალიზოს ყველა არსებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტი მდინარის აუზში და შეაფასოს მათი ერთობლივი, კუმულაციური ზემოქმედება გარემოზე, კერძოდ, რა ხანგრძლივ და შეუქცევად ზემოქმედებას ახდენს გარემოზე დაგეგმილი ჰესი სხვა არსებულ და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად (მაგალითად, სხვა ჰესები, გადამცემ ხაზები, გზები).

4. ბიომრავალფეროვნება და მდინარეში დასატოვებული წყლის რაოდენობა

სკოპინგის ანგარიშის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ნაწილი ეხება ბიომრავალფეროვნებასა და მდინარეში დასატოვებული წყლის რაოდენობის განსაზღვრას. ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე დაგეგმილია 0.36 მ³/წმ. ეკოლოგიური ხარჯის დატოვება, რაც, ავტორების აზრით, საკმარისია არსებული გარემოსთვის. უფრო მეტიც, სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე, „ჰიდროლოგიურ რეჟიმზე ზემოქმედების შერბილების ხელშეწყობის ღონისძიება იქნება სათანადო ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრა და ეკოლოგიური ხარჯის გატარებაზე კონტროლის დაწესება.

თუმცა, არ არის წარმოდგენილი, რა მეთოდოლოგია გამოიყენეს ამ რაოდენობის დასადგენად, ან რამდენად შეესაბამება ეს მოცულობა მდინარის ეკოსისტემის შენარჩუნების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტებს. ასევე, ანგარიშში არ ხდება დეტალური შეფასება იმ ზემოქმედებისა, რასაც პროექტი მოახდენს ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის კოლხური წვერას, კოლხური ტობის, სამხრეთული მარდულასა და ნაკადულის კალმანზე.


5. რა არის მდინარის გარემოსდაცვითი ხარჯი და როგორ გამოითვლება ის

¹ https://www.gse.com.ge/sw/static/file/sezonuri_adekvaturobis_Sefaseba_gazafxuli_-20.03.pdf

მდინარის ქვედა ბიეფში გასატარებელი წყლის გარემოსდაცვითი ხარჯი გულისხმობს მდინარეში სათანადო ხარისხის წყლის ისეთი რეჟიმისა და დონის განსაზღვრას, რომელიც აუცილებელია წყლის ეკოსისტემებისა და ამ ეკოსისტემებზე დამოკიდებული ადამიანების საარსებო წყაროებისა და კეთილდღეობის შენარჩუნებისთვის.

მდინარეში „გარემოსდაცვითი ხარჯის“ განსაზღვრა წყლის რესურსების მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ის ხელს უწყობს წყლის რესურსების დაცვასა და მდინარეებისა, თუ წყლის სხვა ობიექტების კარგი ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებას.

მარტივად, მდინარის გარემოსდაცვითი ხარჯი უნდა შედგებოდეს სამი ძირითადი კომპონენტისგან



სასიცოცხლო ხარჯი – კრიტიკულად მნიშვნელოვანი, ექსტრემალურად დაბალი ხარჯი, რომელიც აუცილებელია გვალვიანი პერიოდისათვის;

დაბალი ხარჯი – ის ხარჯი, რომელიც აუცილებელია გამოკვეთილი ინდიკატორული სახეობების (მაგალითად, ნაკადულის კალმახისთვის) სიცოცხლის ყველა ეტაპისთვის. ეს ეტაპები შეიძლება იყოს ეკოლოგიური მნიშვნელობის მქონე კონკრეტული პერიოდები, ეკოლოგიური პროცესები, სოციალური და კულტურული მახასიათებლები;

მაღალი ხარჯი – წყალდიდობები და წყალმოვარდნები, რომლებიც გრძელდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და აუცილებელია ისეთი მიზნებისათვის, როგორიცაა კალაპოტის მორფოლოგიის შენარჩუნება ან ეკოლოგიური პროცესების სტიმულირება (მაგ., ქვირითობა ან მიგრაცია).

მსოფლიოში გარემოსდაცვით ხარჯის განსაზღვრასთან დაკავშირებული 200-ზე მეტი განსხვავებული მეთოდოლოგია გამოიყენება. თუმცა, ეს მეთოდოლოგიები ოთხ ძირითად კატეგორიად შეიძლება დავყოთ:

ჰიდროლოგიური შეფასება – საჭირო წყლის მიზნობრივი ხარჯის დასადგენად გამოიყენება ისტორიული, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დათვლილი მონაცემების საფუძველზე მიღებული ხარჯის ერთი ან რამდენიმე მახასიათებელი;

ჰიდრავლიკური შეფასება – მდინარის განივკვეთში (განივკვეთებში) ხარჯის გამოთვლა მარტივი ჰიდრავლიკური ცვლადების გამოყენებით (მაგალითად, დასველების პერიმეტრი, წყლის საშუალო სიღრმე). აღნიშნული მეთოდები მეტწილად გამოიყენება კომპლექსური მეთოდოლოგიების ფარგლებში;

ჰაბიტატების მოდელირება – სხვადასხვა ხარჯის პირობებში ფიზიკური ჰაბიტატის რაოდენობრივი და სამიზნე სახეობებისათვის (ან მათი სასიცოცხლო ეტაპებისათვის, თანასაზოგადოებებისათვის) მისი ვარგისიანობის მოდელირება. ეს მეთოდები იყენებენ ჰიდროლოგიური, ჰიდრავლიკური და ბიოლოგიური რეაგირების მონაცემებს. ბევრი ასეთი მეთოდი განვითარდა უფრო მარტივი ჰიდრავლიკური შეფასების მეთოდებიდან. აღნიშნული მეთოდებიც სულ უფრო ხშირად გამოიყენება უფრო ყოვლისმომცველი, კომპლექსური მეთოდოლოგიების ფარგლებში;

კომპლექსური (ან ეკოსისტემური) შეფასება – ეკოსისტემების სხვადასხვა კომპონენტებისათვის საჭირო წყლის ხარჯების დადგენა და მონაცემების განსაზღვრა წყლის ხარჯის, ეკოლოგიური, გეომორფოლოგიური და სოციალურ რეაქციებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების მოდელირების საფუძველზე. გარემოსდაცვითი ხარჯი დგინდება ექსპერტთა ინტერდისციპლინური ჯგუფის მიერ. სადაც გარემოსდაცვითი ხარჯის დასაბუთება საჭიროა ეკოსისტემის თითოეული კომპონენტისათვის/პროცესისათვის. აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი ხარჯის მონაცემების განახლება აუცილებელია მონიტორინგის პროცესის შედეგად გამოვლენილი ცვლილებების საფუძველზე.

5.1. საქართველოსთვის შემუშავებული გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგია

2017 წელს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, საქართველოსთვისაც შემუშავდა გარემოსდაცვითი ხარჯის დადგენის მეთოდოლოგია. ეს მეთოდოლოგია ემყარებოდა გარემოსდაცვითი ხარჯის დადგენის ორ თანამედროვე მეთოდოლოგიას, ავსტრიულს და აშშ-ის კონექტიკუტის შტატისათვის შემუშავებულ მეთოდოლოგიებს. ორივე მიდგომა ფართოდაა გავრცელებული და ამ ქვეყნებში მათი გამოყენება სავალდებულოა კანონმდებლობით. საქართველოსთვის შემუშავებული მიდგომა მოიცავს როგორც კომპლექსური, ისე ჰაბიტატების მოდელირებაზე დამყარებული მეთოდის ელემენტებს.

ამ მეთოდოლოგიის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები, სხვადასხვა საკონსულტაციო კომპანიები, ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მეთოდოლოგიის შემუშავებაში უშუალოდ იყვნენ ჩართულნი ამ სფეროში მსოფლიოს საუკეთესო ეკო-ჰიდროლოგები რებეკა თარმი და მაიქლ მაქლეინი.

ყველა დაინტერესებული მხარის ფართო მონაწილეობით, ექსპერტთა ჯგუფმა უშუალოდ საქართველოსთვის შეიმუშავა გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის გზამკვლევი, რომელიც წარედგინა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს; თუმცა, ამ გზამკვლევის გამოყენება არ ხდება იმ მიზეზით, რომ მისი გამოყენება სავალდებულო არ არის კანონმდებლობით. შესაბამისად, დღემდე, დერივაციული ჰესების მშენებლობისას, გამოიყენება საბჭოთა „სანიტარული ხარჯი“ – მდინარეში მდინარის საშუალო მრავალწლიანი ხარჯის 10 პროცენტის დატოვების დამკვიდრებული პრაქტიკა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სამინისტრომ უნდა მოსთხოვოს ინვესტორს გამოიყენოს მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებული, საქართველოსა და ევროკავშირის რეგულაციებზე მორგებული თანამედროვე მეთოდოლოგია გზმ ანგარიშის მომზადებისას, რომლის გზამკვლევი ინახება სამინისტროში.

რეკომენდაციები

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია

- სურები 2 ჰესის შეფასება განხორციელდეს ყველა ტექნიკურად და ფუნქციურად დაკავშირებულ კომპონენტთან ერთად (35 კვ გადამცემი ხაზი, ქვესადგური და სხვა ინფრასტრუქტურა), ერთიანად, როგორც ამას ითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 პუნქტი და არ მოხდება პროექტის ხელოვნური დაყოფა გზმ პროცესში, რაც შეზღუდავს ზემოქმედების სრულფასოვან შეფასებას.
- გზმ ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს განხილული ყველა გონივრული ალტერნატივა, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა, შესაბამისი დასაბუთებითა და გარემოზე მათი ზემოქმედების ანალიზით.
- პროექტის საჭიროების, ენერგეტიკული ეფექტიანობისა და სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის დეტალური ანალიზი, მათ შორის ენერგეტიკულად დეფიციტური პერიოდებისთვის.
- მოძიებულ იქნას ინფორმაცია მდინარე სუფსისა და მის შენაკადებზე დაგეგმილი ყველა არსებული და მომავალი ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ (ჰესები, გადამცემი ხაზები, გზები და სხვ.) და გაკეთდეს დეტალური კუმულაციური ზემოქმედების ანალიზი - შეფასდეს, რა გრძელვადიან და შეუქცევად ზემოქმედებას მოახდენს დაგეგმილი ჰესი და მისი ინფრასტრუქტურა მდინარის ეკოსისტემასა და ადგილობრივ მოსახლეობაზე.
- გზმ ანგარიშში იყოს წარმოდგენილი პროექტის ზემოქმედება მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე და ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის, თითოეული სახეობის საფრთხეების და ეკოსისტემური სერვისების დეტალური აღწერა.
- დაზუსტდეს, თუ რა მეთოდოლოგიით განისაზღვრა დასატოვებელი წყლის (ეკოლოგიური ხარჯის) მოცულობა და რამდენად შეესაბამება ეს მოცულობა საერთაშორისო სტანდარტებს.
- გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნას საქართველოში შემუშავებული, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძნებული მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კომპლექსურ ეკოსისტემურ მიდგომებს და არა მხოლოდ საბჭოთა „სანიტარულ ხარჯს“.
- გზმ ანგარიშში უნდა იყოს ასახული პროექტთან დაკავშირებული ყველა ძირითადი შეთანხმების (ენერგიის შესასყიდი ფასი, სახელმწიფო ქონების გადაცემა, სუბსიდიები, სახელმწიფოს ვალდებულებები) პირობები, რაც ხელს შეუწყობს პროექტის ეკონომიკური და სოციალური სარგებლის ობიექტურ შეფასებას.